

ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის  
N125 ბინაზე, მოქალაქე სოფიო ნემსიწვერიძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N125 ბინაში მცხოვრები მოქალაქე სოფიო ნემსიწვერიძის განცხადება /2013 წლის 10.04 N6-4372/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N125 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N125 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სოფიო ნემსიწვერიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N125 ბინაზე /საერთო ფართობი 47,56 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 25,98 კვ.მ,დამხმარე ფართობი 21,58 კვ.მ./ მოქალაქე სოფიო ნემსიწვერიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი